

**ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები**

საბანკო კრედიტის ხელშეკრულება # \_\_\_\_\_, [წელი] წლის [რიცხვი, თვე]

<b>კრედიტის საპროცენტო განაკვეთი</b>	
კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი:	
კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი:	
კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:	
<b>კრედიტის ფინანსური ხარჯები</b>	
ყოველთვიური შენატანის ოდენობა:	
ვადის ბოლოს შენატანი:	
შენატანები შეიცვლება კლიენტის ქმედებით განპირობებული საპროცენტო განაკვეთის ან/და ფინანსური ხარჯების ცვლილების გარემოების დადგომის შესაბამისად	
კრედიტის დამტკიცების/გაცემის საკომისიო:	
საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში გადამოწმების საკომისიო:	
ანგარიშიდან თანხის განაღდებას საკომისიო:	
სხვა ხარჯ(ებ)ი:	
<b>სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია</b>	
კრედიტის მთლიანი თანხის ოდენობა:	
კლიენტის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა:	
კრედიტის მოქმედების ვადა:	
საბანკო კრედიტის ხელშეკრულების მოქმედების ვადა:	, მაგრამ ყველა შემთხვევაში, სანამ სრულად არ იქნება შესრულებული კლიენტის ვალდებულებები.
კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვის პირგასამტეხლო:	
ვადაგადაცილების დღიური პირგასამტეხლო:	
კრედიტის საშელავათო პერიოდში დაფარვის რიგითობა: <i>[გამოიყენება თუ სესხზე ვრცელდება საშელავათო პერიოდი]</i>	კრედიტზე საშელავათო პერიოდის განმავლობაში კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში, პირველ რიგში იფარება ხარჯები, პირგასამტეხლო, საკომისიო თანხები, შემდეგ საპროცენტო სარგებელი და ბოლოს კრედიტის თანხა.

ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები. ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, კლიენტის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე წერილობით/ელექტრონული ფოსტით/ინტერნეტ-ბანკით/მოკლე ტექსტური შეტყობინებით. შეტყობინების აღნიშნული ვადები არ მოქმედებს თუ ცვლილება: (ა) განპირობებულია ხელშეკრულებით წინასწარ განსაზღვრული და კლიენტის ქმედებით გამოწვეული გარემოებების დადგომით; ან (ბ) ხორციელდება კლიენტის სასარგებლოდ; ან

(გ) არ იწვევს ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილებას ან/და სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის გაზრდას.

ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ამ კრედიტთან დაკავშირებული სასესხო მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება მხოლოდ წინამდებარე კრედიტის უზრუნველყოფის საშუალებ(ებ)ის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დონისძიებების (მათ შორის, ქონების რეალიზაციის ან/და დასაკუთრების გზით) განხორციელებით.

კლიენტს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ბანკის პრეტენზიების სამსახურში ზეპირი, წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით. ასევე, დისტანციური მომსახურების ცენტრში, სატელეფონო ზარის საშუალებით: 032 2 55 55 00

კლიენტის ხელმოწერა/ -----

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდსა - [www.nbg.gov.ge/cp](http://www.nbg.gov.ge/cp) და ცხელ ხაზზე - 032 2 406 406

**საბანკო კრედიტის ხელშეკრულება #**  
**გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების დანართი/შემადგენელი ხელშეკრულება**  
**(აგტო სესხი)**

, საქართველო,

[წელი] წლის [რიცხვი, თვე]

**1. ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ:**

1.1. <b>ბანკი:</b>	
1.1.1. საფირმო სახელწოდება:	სს "ლიბერთი ბანკი"
1.1.2. იურიდიული/საკორესპონდენტო მისამართი:	
1.1.3. საიდენტიფიკაციო კოდი:	203828304
1.1.4. ელ-ფოსტა:	
1.1.1. ტელეფონი:	
1.1.2. წარმომადგენლის სახელი და გვარი:	
1.2. <b>კლიენტი:</b>	
1.2.1. სახელი და გვარი/სახელწოდება:	
1.2.2. პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი:	
1.2.3. საკორესპონდენტო მისამართი:	
1.2.4. ტელეფონი:	
1.2.5. ელ-ფოსტა:	
1.2.6. წარმომადგენელი (ხელმოწერი/თანხმობის განმცხადებელი პირი)	
1.2.7. სახელი, გვარი, პირადი ნომერი:	
1.2.8. წარმომადგენლის თანამდებობა:	

**2. ხელშეკრულების საგანი**

2.1 წინამდებარე საბანკო კრედიტის ხელშეკრულების და საბანკო კრედიტის ხელშეკრულების 2.2. პუნქტში მითითებული გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე და პირობების შესაბამისად ბანკი უფლებამოსილია (და არა ვალდებული) კლიენტის მოთხოვნისას გასცეს კრედიტი, ხოლო კლიენტი იღებს ვალდებულებას სრულად დაფაროს ათვისებული კრედიტის თანხა, გადაიხადოს კრედიტთან დაკავშირებული გადასახდელები და სრულად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

**2.2 გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულება:**

2.2.1	ნომერი:	
2.2.2	თარიღი:	

**2.3 კრედიტის ძირითადი პირობები შემდეგია:**

2.3.1	კრედიტის მოცულობა და ვალუტა:	თანხა ციფრობრივად ([თანხა სიტყვიერად]) ვალუტა
2.3.2	კრედიტის მიზნობრიობა:	
2.3.3	კრედიტის მოქმედების ვადა:	
2.3.4	საბანკო კრედიტის ხელშეკრულების მოქმედების ვადა:	, მაგრამ ყველა შემთხვევაში, სანამ სრულად არ იქნება შესრულებული კლიენტის ვალდებულებები.
2.3.5	კრედიტის ათვისების ვადა (პერიოდი რომლის განმავლობაშიც კლიენტმა შეიძლება ისარგებლოს კრედიტით ხელშეკრულებაში მოცემული პირობებით):	თუ ბანკი სხვაგვარად არ გადაწყვეტს.
2.3.6	საპროცენტო განაკვეთის ტიპი:	
2.3.7	კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი:	[პროცენტი ციფრებით] ([პროცენტი სიტყვიერად])
2.3.8	კრედიტის თანხის გაცემის წესი:	კრედიტის თანხა ან მისი ნებისმიერი ნაწილი გაიცემა ბანკში გახსნილ კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით.
2.3.9	კრედიტის თანხის და საპროცენტო სარგებლის დაფარვის წესი:	თანდართული გრაფიკის შესაბამისად. ამასთან, გრაფიკში მოცემული მონაცემები მოქმედი იქნება, საპროცენტო განაკვეთის ან/და საბანკო კრედიტის

ბანკი/\_\_\_\_\_/

კლიენტი/\_\_\_\_\_/

	ხელშეკრულების საფუძველზე გრაფიკით გადასახდელი ფინანსური ხარჯების ცვლილებამდე.
2.3.10 კლიენტის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა:	; მთლიანი გადასახდელი თანხის ოდენობა შეიცვლება <b>საპროცენტო განაკვეთის</b> ცვლილების ან/და ფინანსური ხარჯების ცვლილების შესაბამისად.
2.3.11 <b>საკომისიო:</b>	
(i) კრედიტის დამტკიცების/გაცემის საკომისიო:	
(ii) სხვა სახის საკომისიო(ები):	
(iii) საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში გადამოწმების საკომისიო:	
(iv) ანგარიშიდან თანხის განაღდებას საკომისიო:	
2.3.12 <b>პირგასამტეხლო:</b>	
(i) კრედიტის თანხის ან/და პროცენტის გადახდის ვადაგადაცილების ერთჯერადი პირგასამტეხლო:	
(ii) კრედიტის თანხის ან/და პროცენტის გადახდის ვადაგადაცილების დღიური პირგასამტეხლო:	
(iii) კრედიტის თანხის ვადაზე ადრე დაფარვის პირგასამტეხლო:	
(iv) სხვა სახის პირგასამტეხლო(ები):	
2.3.13 <b>ფინანსური ხარჯები და ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:</b>	
(i) ყოველთვიურად გადასახდელი თანხის (შენატანის) ოდენობა:	; შენატანები შეიცვლება <b>საპროცენტო განაკვეთის</b> ცვლილების ან/და ფინანსური ხარჯების ცვლილების შესაბამისად.
(ii) ვადის ბოლოს შენატანი:	; შენატანი შეიცვლება <b>საპროცენტო განაკვეთის</b> ცვლილების ან/და ფინანსური ხარჯების ცვლილების შესაბამისად.
(iii) საკრედიტო შუამავალის საკომისიო:	
(iv) სხვა ხარჯები:	
(v) ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:	
(vi) ხელშეკრულების 2.3.1. ქვეპუნქტში მითითებული კრედიტის თანხიდან ფინანსური ხარჯების გამოკლებით დარჩენილი თანხა:	თანხა ციფრობრივად ([თანხა სიტყვიერად]) ვალუტა)
2.3.14 საკრედიტო შუამავალი:	წინამდებარე ხელშეკრულება არ არის დადებული საკრედიტო შუამავლის მეშვეობით;
2.3.15 უზრუნველყოფის ჩამონათვალი:	გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულებიდან და მის ფარგლებში დადებული გარიგებებიდან გამომდინარე კლიენტის ვალდებულებების უზრუნველსაყოფად გამოყენებული უზრუნველყოფის საშუალებები (გირავნობა, თავდებობა, იპოთეკა და ა.შ).
2.3.16 <b>დამატებითი პირობები:</b>	

**3 მხარეთა უფლებები და მოვალეობები**

3.1 **დაფარვის პრიორიტეტი და რიგითობა.** კრედიტის და მასთან დაკავშირებული გადასახდელების დაფარვის თანმიმდევრობა (მათ შორის კრედიტზე საშეღავათო პერიოდში კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში) შემდეგია: პირველ რიგში იფარება ხარჯები (მათ შორის და არამარტო საარბიტრაჟო, სასამართლო დავასთან, სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯები, ზიანის / ზარალის ანაზღაურების თანხები და სხვა), შემდგომ პირგასამტეხლო, საკომისიო თანხები, შემდეგ **საპროცენტო სარგებელი** და ბოლოს **კრედიტის თანხა**. ამასთან, აღნიშნული რიგითობა განისაზღვრება **ბანკის** შეხედულებისამებრ და **კლიენტის** წინასწარი თანხმობის გარეშე, შეიძლება შეიცვალოს ნებისმიერ დროს, გარდა ამავე **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

3.2 **ბანკის** წინაშე **კლიენტის** ერთდროულად ერთზე მეტი ვადამოსული ფულადი ვალდებულების არსებობის შემთხვევაში, როდესაც **კლიენტის** ანგარიშზე განთავსებული თანხა არ არის საკმარისი ერთზე მეტი ვადამოსული ვალდებულების სრულად შესასრულებლად, ყოველ ჯერზე, ასეთი გარემოების დადგომის დღეს (და არა წინასწარ), სამუშაო დღეებში 17:30 სთ-მდე, ხოლო შაბათს 13:30 სთ-მდე, **კლიენტს** უფლება აქვს, **ბანკის** მიერ განსაზღვრული წესით, **ბანკის** ფილიალისთვის, სერვის ცენტრისთვის მიმართვის გზით, ასევე **ბანკის** ინტერნეტ ბანკის, სატელეფონო ცენტრის

ბანკი/\_\_\_\_\_ / კლიენტი/\_\_\_\_\_ /

საშუალებით (ხოლო ინდივიდუალური მეწარმის, იურიდიული პირის და სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის შემთხვევაში დასაშვებია მხოლოდ ბანკის ფილიალისთვის, სერვის ცენტრისთვის მიმართვა და არჩევანის დაფიქსირება) აირჩიოს საკრედიტო პროდუქტების დაფარვის რიგითობა. თუ აღნიშნულ ვადაში და წესით კლიენტი არ ისარგებლებს მისთვის მინიჭებული ზემოაღნიშნული უფლებით, კლიენტის ფულადი ვალდებულებების დაფარვა განხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით: (I) საკრედიტო ბარათ(ებ)ი, ოვერდრაფტ(ებ)ი, არაუზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი; (II) მხოლოდ გირავნობით (გარდა ფულადი სახსრების/დეპოზიტის) უზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი; (III) მხოლოდ თავდებობით ან/და საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი; (IV) უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი; (V) ფულადი სახსრებით/დეპოზიტით უზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი; (VI) სხვა სახის კრედიტ(ებ)ი. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ბანკი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს კლიენტის ფულადი ვალდებულებათა შესრულების რიგითობა.

3.3 კლიენტი აცხადებს თანხმობას ბანკის სრულ უფლებამოსილებაზე, წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე კლიენტის ნებისმიერი ფულადი ვალდებულების შესრულების მიზნით ბანკმა დააკავოს კრედიტის (ოვერდრაფტის) თანხიდან ან/და ჩამოწეროს კლიენტის ნებისმიერი ანგარიშიდან, მათ შორის სადეპოზიტო ანგარიშიდან, (თუ გადასახდელი და ანგარიშზე რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, ბანკმა თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის მომენტისთვის ბანკში მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს კლიენტის ანგარიშიდან) და დაფაროს ფულადი ვალდებულებები. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ კრედიტის თანხა სრულად ათვისებულია კლიენტის მიერ ან/და არ არის საკმარისი პრემიის დასაფარად, ბანკი უფლებამოსილია გადასახდელი პრემია დაფაროს კრედიტის მოცულობის ცალმხრივად გაზრდის ან ანგარიშზე ოვერდრაფტის დაშვების ხარჯზე.

3.4 მხარეები ერთმნიშვნელოვნად თანხმდებიან, კრედიტის სრულად დასაფარად საკმარისი კლიენტის ფულადი სახსრების ბანკში არსებობის ან/ განთავსების შემთხვევაში არ მოხდება კრედიტის წინსწრებით (ვადაზე ადრე) ავტომატურად დაფარვა და კლიენტის იცინიატივით კრედიტის სრულად ან ნაწილობრივ ვადაზე ადრე დაფარვა შესაძლებელია განხორციელდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად კლიენტის მიერ ბანკისთვის მიმართვის საფუძველზე.

3.5 საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კლიენტისათვის ცნობილია, რომ ბანკი კანონმდებლობით განსაზღვრული და ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში შეაგროვებს/დაამუშავებს კლიენტის შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის (შემდგომში - ბიურო) ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება კლიენტის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები).

3.6 კლიენტს გაცნობიერებული აქვს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, რომ კლიენტის (მათ შორის, მონაცემთა სუბიექტის) მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამამუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

3.7 ბანკის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა ბანკი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება ან/და მოთხოვოს კლიენტს კრედიტის თანხის (სრულად ან ნაწილობრივ), ასევე მასთან დაკავშირებული გადასახდელების, ვადაზე ადრე, დაუყოვნებლივ დაფარვა კანონმდებლობით ან/და გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

3.8 კრედიტთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები, კლიენტისთვის ცნობილია, რომ: (ა) თუ კლიენტის შემოსავლები კრედიტის ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაშია, ასეთ შემთხვევაში კლიენტს გააჩნია სავალუტო რისკები შესახებ, რაც გულისხმობს, რომ ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა კრედიტის შენატანები მნიშვნელოვნად გაზარდოს; (ბ) კლიენტს შეიძლება გაეზარდოს კრედიტზე გადასახდელი თანხები თუ კრედიტი გაცემულია ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთით; (გ) კლიენტის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მათ შორის კრედიტის ძირითადი თანხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში ბანკმა შესაძლოა მიაქციოს გადახდევინება კლიენტის, თავდები პირ(ებ)ის ქონებაზე, ასევე უზრუნველყოფის საშუალებებზე, მათ შორის ბანკმა მიმართოს ისეთ ღონისძიებებს, როგორცაა (გ.ა) კლიენტის, თავდები პირ(ებ)ის ნებისმიერი ქონების (მათ შორის, ანგარიშების, ფულადი სახსრების) ასევე უზრუნველყოფის საშუალებების დაყადაღება, შეზღუდვების, აკრძალვების, უფლებრივი ტვირთის გავრცელება; ან/და (გ.ბ) კლიენტის, თავდები პირ(ებ)ის საბანკო ანგარიშებიდან (მათ შორის სადეპოზიტო ანგარიშებიდან) ან/და სხვა ანგარიშებიდან ფულადი სახსრების უაქცეპტო წესით ჩამოწერა; (გ.გ) კლიენტის ან/და თავდები პირ(ებ)ის მიმართ გადახდისუნარიანობის საქმის წარმოების დაწყების მოთხოვნა; (გ.დ) მოითხოვოს კლიენტის ან/და თავდები პირ(ებ)ის ქონების იძულებითი მართვა (სეკვესტრი); (გ.ე) კლიენტის ნებისმიერი ქონების ან/და უზრუნველყოფის საშუალების საგან(ებ)ის რეალიზაცია განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე;

3.9 ხელშეკრულების პირობების ცალმხრივი ცვლილება ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები. ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, კლიენტის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე წერილობით/ელექტრონული ფოსტით/ინტერნეტ-ბანკით/მოკლე ტექსტური შეტყობინებით. შეტყობინების ვადების აღნიშნული მოთხოვნები არ ვრცელდება თუ ხელშეკრულების

ცვლილება: (ა) განპირობებულია ხელშეკრულებით წინასწარ განსაზღვრული და კლიენტის ქმედებით გამოწვეული გარემოებების დადგომით; ან (ბ) ხორციელდება კლიენტის სასარგებლოდ, რაზედაც მხარეები თანხმდებიან, რომ ბანკი თავისუფლდება ასეთი ცვლილებების შესახებ შეტყობინების ვალდებულებისგან; ან (გ) არ იწვევს ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილებას ან/და სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის გაზრდას; ან (დ) განპირობებულია ინდექსის ცვლილებით (ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში).

**4 ხელშეკრულების მოქმედების ფარგლები**

4.1 მხარეთა მიერ წინამდებარე საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაზე თანხმობის გამოხატვით (მათ შორის ბანკის მიერ განსაზღვრული დისტანციური არხების, ინტერნეტ ბანკინგის/მობაილ ბანკინგის ან სხვა არხების საშუალებით) ასეთ თანხმობას ექნება მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერის ტოლფასი იურიდიული ძალა და შესაბამისად დადებულია ითვლება და ძალაში შედის ხელშეკრულება, რომელიც შედგება შემდეგი დოკუმენტებისაგან: (ა) განაცხადი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); (ბ) გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულება; და (დ) ნებისმიერი ცვლილებები ან/და დამატებები, რომელიც დაიდო ან მომავალში დაიდება მხარეთა შორის კრედიტის მოქმედების ფარგლებში

4.2 საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, მასში განხორციელებული ცვლილებ(ებ)ის ან/და დამატებ(ებ)ის ჩათვლით, წარმოადგენს გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების შემადგენელ ხელშეკრულებას და თუ თავად გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, მასზე სრულად ვრცელდება გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის მოქმედება, ტერმინთა განმარტებები, გენერალური საკრედიტო ხაზით სარგებლობის, მხარეთა პასუხისმგებლობის, მხარეთა კომუნიკაციის პირობები და სხვა.

4.3 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულება დამატებით შესაძლოა დაიდოს სხვა ენაზეც. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების ქართულ ენაზე შედგენილ ვერსიას უპირატესობა მიენიჭება ხელშეკრულების სხვა ენაზე შედგენილ ვერსიასთან მიმართებაში. ამასთან, კლიენტისთვის სახელშეკრულებო პირობებისა და ინფორმაციის მიწოდება, ასევე კლიენტთან კომუნიკაცია ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში განხორციელდება ქართულ ან ინგლისურ ან რუსულ ენაზე.

4.4 წინამდებარე საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ბანკის მოთხოვნების მესამე პირისთვის დათმობის (გასხვისების) შემთხვევაში, ბანკი აცნობებს კლიენტს წერილობით ან ელექტრონული ფოსტით ან ინტერნეტ ბანკით ან მობაილ ბანკით ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით გაგზავნილი შეტყობინების გზით არაუგვიანეს 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში.

4.5 წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მხარეები თანხმდებიან, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილის საფუძველზე, დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ბანკის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

4.6 ბანკის საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი, რომლის მისამართია: 0114 თბილისი, საქართველო, სანაპიროს ქუჩა № 2.

ბანკი	კლიენტი
-----	-----